სახალხო გაზეთი

№ 703 პარასკევი, 21 სექტემბერი 1912 წ. № 703

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტიპსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „ზრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. შეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიკიცის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მორსკაია 11, ვარშავაში--მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთა 5 საათ[illegible]

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, [illegible] წერილები და კორესპონდენციები სულ [illegible] თვით მხოლოდ დიდი წერილები და [illegible] პარაკვლა შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონ № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და საოლიტერატურო გამოცემა.

იმ ხელის მომწერთ

რომელთაც „გრდემლი" ერგებათ და ჯერ არ წაუღიათ, ვთხოვთ ან წაიღონ რედაქციიდან ან გამოგზავნონ ფოსტის ხარჯად 30 კ. (შეიძლება მარკებით) რომ ადგილობრივ გაეგზანოთ.

სახ. გაზ. კანტორა.

სახალხო გაგეთი

სურათებიანი დამატებით მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.
1 ენკენისთვიდგან წლის დამლევამდე ღირს 3 მან.
თვეში ღირს — — 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარეთ).
საზღვარ-გარეშე თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლიურ ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „გრდემლი" ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., მარტისათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და დანარჩენი უნდა გადახდილი იყოს **1-ლ ივლისამდე.**

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ განგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაში მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რამე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

ახალი კლუბი
(საზაფხულო შენობა)
შაბათს, 22 ენკენისთვეს, 1912 წ.
საოჯახო საღამო

თეატრის სცენაზე გაჰმართავს სეანსებს გამოჩენილი კაპიტანი გრებლი—„ჯეკი—თევზი". სეანსის შემდეგ **ცეკვა**

ფასი თეატრის ბილეთებისა 75 კაპ.—20 კაპეიკამდე. კლუბში შესასვლელის სტუმრები იხდიან: მამაკაცები—1 მან. მანდილოსნები—50 კაპ. სტუდენტები—25 კაპ. (2—1463—1)

შეიძლება დაკვეთა:
ილია ჭავჭავაძის თხზულებანი
ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

ლექსი და ბელეტრისტული ნაწარმოები,

(ადრედვე ჯერ დაუბეჭდავიც); ნაეოთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

ფასი 8 მანეთი, რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2-მ. გიორგობისთვეში. ვინც 10 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორლანოვის ქუჩა; № 20, ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.

ტფილისში აგენტად დანიშნულია ნიკოლოზ ლონგინოზის ძე კავსაძე. ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან ივსონ ბაქრაძესთან და იოსებ ოცხელთან. ფოთში—ივნა მეუნარგიასთან. ♦ თელავში—თამარ აბაშიძესთან. სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან. ♦ ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან. სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან. ♦ ბაქოში—ილია აგლაძესთან. ხონუმში—ნიკო თავდგირიძესთან. ♦ ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან. ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან. ♦ ერევანში--ელენე ვირსალაძესთან

ბათომში—ს. მდივანთან. კავკაზში—სოფიო კალანდარაშვილთან. გორში—ნიკო ლომბაურთან. ახალციხეში—როზალია ბელელიშვილთან

ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზანის, მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია. (3—153—3)

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში
ისყიდება შემდეგი სახელმძღვანელოები:

ჩვენი მწერლობა, (მგოსნები), ს. გორგაძე . . . ფასი	50 კ.
გუთანი, ოჯახში და სკოლაში საკითხავი	85 „
მოძრავი ანბანი—კარდონზე	30 „
ანბანი კუბიკებზე . . .	1 მ.—
წყარო, ა. ქუთათ. მოსამზადებ. კლ. II, ...	50 „
წყარო, იმავე. ანბანი და პირველ საკითხავი . . .	25 „
არითმეტიკული კრებული ხრამელაშვილისა I, ყდით .	40 „
იგივე ნაწილი II, ყდით .	50 „
მოკლე სახელმძღვანელო საზოგად. გეოგრაფ.—აზია, აფრიკა, ამერიკა და ავსტრალია	35 „
მოკლე სახელმძღვ. საზოგად. გეოგრაფიისა, ევროპა . .	35 „
მოკლე საუბარი, თუ როგორ უნდა ისწავლებოდეს პირ.-დაწყებ. კარი გეოგრაფ. ალ. ეიპ.	20 „
ფიზიკური გეოგრაფია . .	20 „
ქართ. წმინდანები, სასულიერ. სასწავლებლებისთვის იოსელ.	50 „
... ვლება საღვთო სჯულზე, ყდ.	30 „
ახალი ალთ-ქ. სამო.-ისტ., მისივე	40 „
ძველ. ალ.ქ. სამო. ისტ. მისივე	50 „
ქართ. წერ. რვეულ. წ. კ. გამოცემა წყვილი	5 „
ათასამდე ყოველი ასის ფასი	2 მ. 40 „
ათასზე მეტი ყოველი ასი	2 მ. 30 კ.

ადრესი: Тифлисъ, О-во распр. Гр. ср гр. насел. (წ. 1141.127)

სასტუმრო **უნივერსალი**

(ძველად „მუხრანის ნომრები") **ტფილისში, გოლოვინის პრეს.** სახელმწიფოს და კერძო დაწესებულებათა შუაგულში; ნომრები ახლადა გადაკეთებული შვენიერად; დიდად ხელსაყრელია ცოლშვილიანებისათვის. ფაქიზი სისუფთავე, ზრდილობიანი და სხარტი მოსამსახურენი. როგორც კაცები ისე ქალები; ელექტრონული განათება, ცხელი და ცივი ვანები. გვაქვს ორ-ორი და სამ-სამი ოთახი, ფანჯრები და აივნებიც ქუჩის მხარეს აქვთ. ნომერი 80 კ.—ნ მანეთამდე ღირს დღე-ღამეში, თვიურად 15 მან. 80 მანეთამდე. თვიურ მდგმურებს დიდ შეღავათს ვაძლევთ ქირაში. ტელ. № 499. (25-1481.1)

მიიღება ხელის მოწერა
„ოლიპულ გზაზე"
ანასტასია ერისთავ-ხოშტარიასი.
(რომანი)

600 გვერდამდე კარგ ქაღალდზე დაბეჭდილი წიგნი ხელის მოწერით ეღირება, მხოლოდ **ერთი მანეთი,** შემდეგ კი ფასი ერთი-ორად იქნება გადიდებული. შეიძლება დაკვეთა: ტფილისში—ქ. შ. წ. კ. გ. სახოგადოების წიგნის მაღაზიაში; ქუთაისში—კანტორა „იმერეთში" და თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში; გორში—გაზეთ „ქართლის" კანტორაში და ი. კვალიაშვილის აფთიაქში, აგრედვე კანტ. „იმერეთის" ყველა პროვინციელ აგენტებთან და ქართულ წიგნების დამტარებელ ი. კერესელიძესთან. **ადრესი:** Гори, Анастасій Хоштарія. (ამ შემთხვევაში ფულის გამოგზავნის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია). (25—1456—25)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

იწვევს მსურველთ, ვინც იკისრებს 1913 წ. ქალაქის დაწესებულებათათვის

ამლიოტ

1) მაზუთი	142000	ფუთი.
2) მსუბუქი ნავთი, დიზელის მამოძრავებელთათვის .	15,000	ფ.
3) დაუმუშავებელი ნავთი	5000	ფ.
4) ნავთი	8000	ფ.
5) ბენზინი	400	ფ.
6) ზეთი ცილინდრ. მიტრებისა.	4000	ფ.
7) ზეთი მადნეულისა	825	ფ.
8) ქონი მინერალური	140	ფ.

ხელშეკრულობის პროექტებისა, პირობებისა და აუცილებელ ცნობათა გაგება შეიძლება ქალაქის გამგეობის ნივთიერ განყოფილებაში დილის 10—3 საათამდე.

განცხადებანი უნდა ჩაგდონ საგანგებო ყუთში, რომელიც გამგეობის განყოფილებასთან არის ჩამოკიდული.

განცხადებათა წარდგენის ვადა ოქტომბრის ხუთსა.

(3.1515.1)

ფეხსაცმელები
თომა დ. ჯანყარაშვილის
მაღაზია-სახელოსნოში.

მუხრანის ქ. № 2. ყოველნაირი: საკუთ. და პეტერბ. მეხანიკ. ნაწარმოები. (25.683.2)

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის იაალოებლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაკვეთებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლოლას ქუჩაზე, სახლი № 5, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათ...ან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, **რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანაბამად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.

(წ. 1020 386)

სკოლა და პანსიონი
მ. კ. ბასტიანოვა-სიტმალიდისა

სოფიოს ქუჩა, 6, სურფ-სარჭისის ქუჩა, 59. ორივე სქესის ბავშვების მიღება გრძელდება. მომზადდება განმეორებითი ეგზამენებისათვის ყველა საგნებში და ამასთ ნაკვ საშუალო სასწავლებლების ყველა კლასებისათვის. იქვე აძლევენ როიალის გაკვეთილებს ოქტომბრის 1—დან. (3.1514.2)

ვაკეთილ ვეძიოთ
სამკურნალო
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე, ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ბ. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

ბ. ბ. ბოგბოგი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11 ½.

შ. ბ. ბიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. ბ. ბედიაშვილი. ჭირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური ქიმიური გამოკვლევანი; აგრედვე ყვავილის აცრა და ძიძების განისჯვა. ფასი ეჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

წამლოგა „606"

(წ.—1018—80)

ელექტრონისა და რენტგენის
სამკურნალო
მის. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორლანოვის ქ. № 20. (წ.—1022—96)

ნაფიცი ვეძიოთ
ლუკა ლუკას ძე
ბახტაძე

გადავიდა კლასიკურ ქუჩაზე, სახ. № 14. (3—678—3)

კბილის ექიმი
მამულაიშვილი-ხოდნევისა

წამლობა, პლომბის გაკეთება ფაიფურით და ოქრით. კბილის ამოღება უტკივილოდ ოქროს „ეორონკებით" და „ვსტეკებით" (ახალი სისტემის პლომბი, რომელიც არ იშლება და არ ვარდება). ბრუნდი კბილების გასწორება.

მიღება დილით 8—2 საათამდე, საღამოთი 5—7 საათამდე. ოლგას ქუჩა № 20, ბინა—5. (25—1504—5)

დოქტორი მედიცინისა ბერლ. უნივერს
ბ. ბ. მეგრაბიანცი

დაბრუნდა და კვლავ განაგრძობს ავადმყ. მიღებას. შინაგ. ავადმყ., ავადმყოფობ. ფილტვ. + ტუბერკულ. და გულისა. იღებს ყ.-დღ. დილის 9—12 ს. და საღ. 5—7 საათ. ადრესი: ფრანგებ. ქ., № 10. ტელეფ. 7—92. (25.1497.9)

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელიაბედ. ქ.,** № 94, საფოსტო განყოფი. პირველ-დაპირ. (25—1178—911)

ექიმი ჯ. ა ა რ დ ა ზ ი ა ნ ი
შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმი-ქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—2 ს. საღამ. 5—7. (25.1045.198)

ექიმი ი. ე. ჯაფის კაბინეთი
ამბულატორიით. მიიღებს შინაგ., დედ. და სადოსტაქრ. ავადმყ. დილ. 8—11 ს. და საღ. 5—8 ს. დიდვანქის ქ., № 6. წინანდელი სადეპეშო კანტორა. (25.1480.12)

ექიმი ქ ა ლ ი
დ. ბ. საყვარელიძე.
იღებს ავადმყოფებს ქალისა და საბებიო. ნაშუადღ. 1—2 ს., საღამოს 5 6 საათამდე.
კიროჩნის ქუჩა, № 9.
(25.595.25)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღება. მოსკოვის ქუჩა, № 3. ს. ბაბაზეულისა.

ექიმი ს. ი. ბაქელიშვილი
შიგნეულობისა და ვენერიულ ავადმყ. დილ. 9—11 საათ., საღ. 6—8 საათ. დიდუბე, საგურამოს ქ., (მუშტაიდის ბაღის შუაგულიდგან მარჯვნივ), № 21, ხრამელაშვილის სახლი. დღისით: 2—4 საათამდე. ბარონისა და ბაზრის ქუჩის კუთხე, № 14. (0—1411—50)

ექიმი ალ. სოლოდაშვილი
იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 5—4 საათ. გოლოვინის 3რ. № 12. (თ.1334.15)

ექიმი კბილისა
ნინო ჩხეიძე
იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

ახალი ამბავი
ტფილისი

ილიას თხზულებანი. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, წინადადება მისცეს ბუშკინისა და სახალხო სახლის ბიბლიოთეკების გამგეებს, ხელი მოაწერონ ახალ წიგნზე, ილიას თხუზულებებზე, რომელსაც ექიმი მიხეილ გედევანიშვილი ბეჭდავს. გამგეობამ ამასთანავე დაავალა გამგეობისავე წევრს მ. ნ. ათაბეგოვს, გამოარკვიოს, რამდენი წიგნია საჭირო საქალაქო სკოლებისათვის.

ტფ. ქალაქის გამგეობამ გუბერნატორს დასამტკიცებლად წარუდგინა საბჭოს დადგენილება, რომლითაც ტფ. სიფიზიზლის საზოგადოების სახალხო სახლის ასაშენებლად უსასყიდლოდ დაეთმობა ნაძალადევში ქალაქის მიწის ნაჭერი ზომით 1,500 ოთხკ. საჟენი.

მუღანის ველში არსებულ ხეხილისა და ტყის ხეების სანერგეს გასაფართოებლად მიწათმოქმედების დეპარტამენტისაგან თხოულობენ 40,55 მან.

წვრილი კრედიტი სოფლად. ნება დართულ იქმნა, გორისა, დუშეთისა, ბორჩალოსი და ტფილისის მაზრებში 13 ახალი ხაკრედიტო და შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა დაარსდეს. ეს ამხანაგობანი დაარსდება შემდეგს სოფლებში: ფხვენისსა, ძევერასა, ტყვიავსა, ახალქალაქსა, მეტეხსა, კობსა, მლეთსა, წილკანსა, ყაზბეგსა, ფასანაურსა, პრივოლნოეესა, მანგლისსა და ბარბალოში. ძირითად თანხად ყველა ამხანაგობას სახელმწიფო ბანკიდან 28,000 მან მიეცემა. მიცემათ აგრედვე 75,000 მან. მოკლე ვადიან სესხად. ამ ამხანაგობებიანად. ტფილისის გუბერნიაში სულ 94 ამხანაგობა გახდება.

უხვი შეწირულება. ერთმა მოსკოველმა მდიდარმა, რომელსაც თავის ვინაობის გამომჟღავნება არა სურს და რომელსაც სოფ. ზემოავჭალაში მამული აქვს, ეს მამული-187 დესეტინა მიწა „კაპეიკის კავშირის" საზოგადოებას შესწირა.

სენატორ ნიკოლსკი, კავკასიის ნამესტნიკის მოადგილე უმაღლეს სახელმწიფო დაწესებულებებში, 19 სექტემბერს, საღამოს 11 საათზე, პეტერბურგიდან ტფილისს დაბრუნდა.

ოსური წარმოდგენა. კვირას 25 სექტემბერს ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლში ოსურ ენაზე წარმოდგენილ იქნება ა. ცაგარლის „დრონი იცვალნენ“ თარგ. ბ. თადიევისა.

სახელმწიფო საბჭოს არჩევნების გარშემო. 4 ოქტომბერს ტფილისიდან პეტერბურგს გაემგზავრებიან ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წარმომადგენლები, რომელნიც მონაწილეობას მიიღებენ სახელმწიფო საბჭოს დეპუტატების არჩევნებში. ტფილისის გუბერნიიდან იგზავნებიან: თავ. გ. ა. ბაგრატიონ-დავითიშვილი და გ. დ. ჟურული, ხოლო ქუთაისის გუბერნიიდან: თავ. ა. ერისთავი და გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. ფ. მიქელაძე.

ტფ. გუბერნატორმა ქალაქის მოურავს აცნობა, რომ მან დაამტკიცა ქალაქის საბჭოს 10 სექტემბერის დადგენილება, რომ დაევალოს გამგეობასა და საიუბილეო კომისიის შეერთებულ საკრებულოს შეიმუშავოს თავ. ჩოლოყაშვილთან, ქალაქის გაზის ქარხნის აშენების საკონცესიო ხელშეკრულობა, მხოლოდ ადგილობრივ მეურნეობის საქმეთა მთავარ გამგეობის შეცვლითა და დამატებით. გუბერნატორმა დაავალა გამგეობას ამ უკანასკნელ რედაქციას მოაწეროს ხელი.

ტფ. გუბერნატორმა ნება დართო, მაჰმადიანთა დრამატიულ საზოგადოების თავმჯდომარეს იუსუფ-ბეკ თაიროვს, 30 სექტემბერს, „სპორტის“ ბაღში მოაწყოს **სეირნობა** ამ საზოგადოების სასარგებლოდ. სეირნობის შემოსავალი მოხმარდება სასკენო საგნების შეძენას, როგორიცაა: ბუტაფორია, დეკორაციები, ტანისსამოსი და სხვა. როგორც ვიცით მაჰმადიანთა აუდიტორია აპრილში გაიხსნა, მაგრამ უსაღსრობის გამო აქამდის ვერ მოეწყო და მოქმედებას ვერ შეუდგა. ეხლა დიდი იმედი აქვთ ტფილისის საზოგადოებისა.

ტფილისის გუბენატორმა ქალაქის მოურავს აცნობა, რომ სახელმწიფო არჩევნების დებულებათა 27 მუხ. ძალით, მეორე განყოფილების ქალაქის ამომრჩევლების კრების თავმჯდომარედ მან მიიწვია ექიმი მ. ვ. ლუნკევიჩი, იმის მოადგილედ კი ექიმი სპირიდონ იოსების ძე ვაწაძე; მესამე განყოფილების ამომრჩეველთა კრების თავმჯდომარედ ათაბეგოვი, მოადგილედ ქერიმ-ბეკ ვექილოვი.

ტფილისის გუბერნატორმა, ტფ. ქალაქის მოურავს აცნობა, რომ საქალ. დებულებათა 18 მუხლის ძალით მან ნება დართო, სათადარიგო თანხიდან ისესხონ საჭირო თანხა, დიდი მთავრის ქუჩაზე მდებარე ე. ს. როტინოვის ასულის მამულის საყიდლად, თანახმად 7 მაისის საბჭოს დადგენილებისა, მხოლოდ იმ პირობით, რომ ამ თანხის შესახებ დამატებითი სმეტა იყოს წარმოდგენილი.

მიწათმოქმედების და მიწათმომწყობ მთავარ გამგის რწმუნებული ვ. ვ. არხიპოვი, ტფილისს დაბრუნდა, შავი ზღვის კიდეთ მოგზაურობიდან.

გუშინ, 20 სექტემბერს, ტფილისში ჩამოვიდა მიწათმოქმედების დეპარტამენტის მესამე განყოფილების უფროსი ა. ი. კნიზე, რომელმაც უფროს სპეციალისტის ს. ნ. ტიმოფეევის თანხლებით დაათვალიერა ოზურგეთის თამბაქოსა და ჩაის საცდელი მინდვრები და ქუთაისის საცდელი მინდორი.

საზოგადოებანი და კრებები

საგანგებო ხელოვნებათა წამქეზებელ ტგ. საზოგადოების წევრთა პირველი საერთო კრება 19 სექტემბერს მოხდა „ტარას და აგბიურის“, რედაქციაში. კრებამ დაადგინა, სთხოვოს ქ-ნს ა. ვ. პეტერსონისას, იკისროს საზოგადოების თავმჯდომარეობა. კრების გაგრძელება 27 სექტემბერს მოხდება.

ქალაქის საბჭოს (ამეურნეო კომისიის კრება დღეს მოხდება. კომისია, სხვათა შორის, გადასინჯავს ხორცისა და პურის ნიხრს.

კვირას, 23 სექტემბერს, დილის 11 საათზე, მოხდება საზოგადო კრება ქალთა მეორე გიმნაზიის მოწაფეთა მშობლებისა, განსახილველია: 1) მშობელთა წრის საბჭოს წესიერი ანგარიში, 2) არჩევნები დელეგატებისა კლასებისთვის და 3) საბჭოს ახალი შემდგენლობის არჩევნები.

კვირას, 23 სექტემბერს ხელმეორედ დანიშნულია საზოგადო კრება ტფილისის მე-2 საქალებო გიმნაზიის **მშობელთა წრისა.** კრება განიხილავს წლიურ ანგარიშს წრის საბჭოსას, აირჩევს დელეგატებს კლასებისთვის და ახალ საბჭოს.

სასწავლებლებში.

მიწათმოქმედების და მიწათმომწყობ მთავარ გამგის რწმუნებულმა, თავის წარმომადგენლად საბაღოსნო სკოლის მოწაფეთა გამოცდაზე დანიშნა სწავლული მებაღე ბოტანიკურ ბაღისა ვ. მ. სავიჩი. ბ. სავიჩი იქნება თავმჯდომარედ გამომცდელ კომისიისა, ბუნების მეტყველებაში, მებაღეობაში, მებოსტნეობაში და მეღვინეობაში. გამოცდების დროს. გამოცდები მოხდება 3, 9, 13 და 16 ოქტომბერს.

მოწაფეების ნამუშევარის მოსავალ „კონკურსზე“, რომელიც მოხდება პეტერბურგში სამხვატრო აკადემიაში, განზრახულია გაიგზავნოს დედათა 1, 2, 3, 4, და მე-5 გიმნაზიების და წმ. ნინოს სასწავლებლის მოწაფეთა ნამუშევარი.

სასამართლო

ტფ. ოლქის სასამართლოს სესია სიღნაღიდან ტფილისს დაბრუნდა.

მილიონერ ტაგიევისა და სხვათა საქმე. დღეს ტფ. სამოსამართლო პალატა გაარჩევს საქმეს მილიონერ ტაგიევისა და სხვებისას, რომელთაც ინჟენერის ბებუთოვის წამება ბრალდებათ. როგორც ვწერდით, ოლქის სასამართლომ ბრალდებულთ ღირსების ახდა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა მიუსაჯა.

სოფლელთა ცხოვრება

სომეხ მწერალთა საზოგადოების წესდება გუბერნატორმა დამტკიცა.

რკინის გზებზე.

ტფილისის ჟანდარმთა განყოფილების უფროსის განკარგულების მიხედვით თავისუფალმა ჟანდარმებმა მატარებლებში უნდა იარონ, რათა თვალყური ადევნონ წესიერებას და აგრეთვე იმას, რომ მგზავრებმა ვაგონებში არ ატარონ ისეთი ბარგი რომელიც, ფასით უნდა იგზავნებოდეს. ამ მიზნით, 17 სექტემბერს საღამოს 5 საათზე, მატარ. № 108 სადგურ ბეიუკ კიასუკზე მატარებელში შევიდა ჟანდარმი ფადეი რებიკოვი, რომლის ყურადღება მიიქცია ვაგონში მდებარე დიდმა ხურჯინმა. ხურჯინში აღმოჩნდა 89 ცალი „აბოლობა აღუძრავს რომ ყვირილის საბოქაულოს წვრილ მემამულეთა კრება ხელ მეორედ მოჰხდეს. როგორც გვითხრეს, მთავრობას განკარგულება მოუხდენია, რომ განმეორებითი კრება ზესტაფონში 20 ამ მთვეს მოჰხდეს.

ქუთაისი. ქუთაისში მომხდარი კრება წვრილ მემამულეებისა თ-დი მიქელაძისათვის არა სასურველად გათავდა-მისგან მოწოდებულ თ-დ მიქელაძეთა შორის მარტო ორი იქმნა არჩეული, დანარჩენი რწმუნებულნი მოწინააღმდეგე ჯგუფებს ეკუთვნიან. თუ ბაღდადშიაც ამ ნაირივე საქმე მოხდა, მაშინ თ-დ ვლ. მიქელაძეს არა თუ დეპუტატობა, უბრალო ვიბორშჩიკობაც კი არ ერგება.

ყველა მიხვდება, რომ ეს გარემოება მეტად დაფიქრებდა თ-დ მიქელაძეს და მის მომხრეთ და ეს ფიქრი იმდენად მწარე აღმოჩნდა თურმე, რომ თ-დ ვლადიმერს თავის მეგობრებისათვის პეტერბურგში (ნეტა ვიცოდეთ, ვინ არიან მისი მეგობრები პეტერბურგში? ნუ თუ ცენტრალური ბანკის გამგენი, რომელთაც ასე უსახელებიათ თავი?!) მიუწერია: (მისივე სიტყვით) „ѣду на выборы“.

როგორც ხედავთ, თ-დ მიქელაძეს ჯერ კიდევ ხუმრობის უნარი არ დაჰკარგვია. ამავე დროს მის მომხრეთ, სადაც ჯერ არს, განცხადება შეუტანიათ, ქუთაისში მომხდარი წვრილ მემამულეთა კრება უკანონოდ უნდა ჩაითვალოსო. იმ ცნობებით, რომელნიც ამ ჟამად ჩვენს ხელთ არის, ეს განცხადება შეწყნარებული იქნება და ქუთაისში კვლავ მოხდება წვრილ მემამულეთა კრება.

ფოთი. საარჩევნო აგიტაციაში აქამდის ბ-ნი ნ. ნიკოლაძე არ გარეულა—გვეგონა იგი არ გამოვიდოდა თავის მდუმარებიდან, მაგრამ არა—იგი, როგორც ეხლა ირკვევა, კიტა აბაშიძის წინააღმდეგ ყუმბარას ამზადებდა იმ იმედით, რომ კიტას მომხრეებს ფოთში მთლად გაანადგურებდა.

აბა მიბძანდით ფოთში და უთხარით ვისმეს, საფუთო გადასახადი მოისპობა და სესხს ვერ გაანაღდებთო, ამ საქმის ინიციატორად, რომ თვით ქრისტე იყოს, იმასაც კი დაიწუნებდნენ ფოთელები. ბ-ნმა ნ. ნიკოლაძემ ეს სულის კვეთება ფოთელებისა გულთმისანივით იცის და კიდეკაც უსარგებლია. ნუ თუ აირჩევთ კიტა აბაშიძეს—იგი დეპუტატობით ისარგებლებს და აუცილებლად მოსპობს საფუთო გადასახდს და სესხს დააბრკოლებსო. კარგად იცის ბ-ნმა ნიკოლაძე, რომ კიტა აბაშიძე საფუთო გადასახადის წინააღმდეგი იყო და ფოთელები ადვილად დაუფიქრებლად დაუჯერებენ, რომ კიტა აბაშიძე ეცდება ეს გადასახადი მოსპოს.

მაგრამ მოკლე ფეხიანი ამბავი ქართველებში ტყილად არის წოდებული და რად ინება ბ-ნმა ნიკოლაძემ ამ დაწუნებული იარაღის ხმარება? ნუ თუ მას ჰგონია, რომ საკანონმდებლო დაწესებულებათა მიერ შეწყნარებულ და უმაღლესად დამტკიცებულ კანონს კიტა აბაშიძე შესცვლის? არა, იმან კარგად იცის, რომ ეს შეუძლებელია, მაგრამ მას ჰგონია, ფოთელები გულ უბრყვილოთ დაიჯერებენ მის მოხანხლულ ამბავს და კიტა აბაშიძის მომხრეებს გააშავებენ.

დიდი აზრასა არ უნდა იყოს ფოთის ყოფილი ქალაქის თავი ფოთელებზე, თუ მას ჰგონია, რომ ასეთი ლათაიებით მათ თვალს აუხვევს.

ხონი. ექიმი ხუნდაძე უკვე ცნობილი კაცია ქუთაისშა და, ხომ მოგეხსენებათ, ყველა „ცნობილი“ თ-დი ვლადიმერ მიქელაძის მომხრეა. მან მიატოვა თავისი ქუთათური პრაქტიკა და წაბძანდა გურიაში სააგიტაციოდ. იქ მოუწყვია ქ. ოზურგეთის არჩევნები, კანდიდატად დაუსახელებია თავისი ძმა და იმ იმედით დაბრუნებულა, რომ გურიის დედა ქალაქ მემარჯვენე „ვიბორშჩიკს“ გამოგზავნის თ-დი მიქელაძის დეპუტატად ასარჩევად.

ახალ-სენაკი. 6 ენკენისთვეს ახალსენაკში მოხდა წვრილ მემამულეთა რწმუნებულების არჩევა აბაშისა და სენაკის საბოქაულოდან. გამოცხადდა 37 მემამულე. ასარჩევი იყო 9 რწმუნებული. აირჩიეს: მ. ჩხეტია, გ. გამსახურდია, დ. ჯაიანი, ბ. სალაყაია, მ. ესაკია, ფ. შომახია, ნესტორ ქორქია, ფ. ქოჩაკიძე, პ. მაღნარაძე. ამათში ოთხი ე. გეგეჭკორის მომხრეა, სამი კიტა აბაშიძისა და ორი ვლ. მიქელაძისა.

ამავე დღეს დ. ონში მოხდა წვრილ მემამულეთა კრება. აირჩიეს: ი. მ. ჯაფარიძე, სიმ. გ. ჯაფარიძე, ს. თ. ჯაფარიძე, დ. რ. გოცირიძე და ალ. ი. კვიტაშვილი.

ჟურნალისტის დღიური

86.

ჩვენი ავად მყოფობა.

ქართველი ადამიანი დაჩვეულია, ყველაფერი სხვას გადააბრალოს და თავის საკუთარ უბედურებასა და გათახსირების მიზეზი სხვის საქციელში გამოსძებნოს. ერთხელ მაინც რომ ჩაიხედოს თავის გულის სიღრმეში და პირ-უთვნელად დააფასოს თავისი სულიერი საუნჯე, გაწითლდება, თუ სინდისი ცოტა მაინც შერჩენია. მაგრამ არა! სჯობიან ყველაფერი წყეულ „ობიექტიურ პირობებს“ გადავაბრალოთ და მხოლოდ იქ ვეძებოთ გახრწნილების სათავე. ვინ ამბობს? „ობიექტიური პირობები“-ც ძალიან ხშირად ხელს უშლის ნორმალურ განვითარებას, მაგრამ ჩვენს საკუთარ ბუნებაში ფეხმოკიდებული ათას-გვარი მიზეზები უფრო შეამავენ და სწამლავენ ჩვენს ორგანიზმს. არავის შეუძლიან იმდენი ვნება მოგვიტანოს, რამდენსაც ჩვენ ვაყენებთ ჩვენს თავსა. ჩვენს საზოგადოებას რომ აკვირდები, პირდაპირ სასოწარკვეთილებაში ვარდები. რამდენი ფიზიკურად და ზნეობრივად გადაგვარებული ადამიანი დახეტიალობს ჩვენს გავერანებულ საზოგადოებრივ ასპარეზზე, რამდენი უმეცარი და დამახინჯებული არსება სწამლავს მარტო თავის არსებობით სიცოცხლეს? მიკროსკოპიულია მათი მოქმედება, მაგრამ ბაცილაც ხომ მიკროსკოპიული არსებაა!

აი, ამ ჟამად ხელთა გვაქვს „19¹¹/₁₂ წლის ანგარიში ქალთა მეორე გიმნაზიასთან არსებულ მშობლების წრისა“. ამ ანგარიშში ბევრი რამ არის საინტერესო, მაგრამ მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ მხოლოდ ერთს გარემოებაზე. როგორც ანგარიშიდანა სჩანს, ქართული ენა ამ სასწავლებელში საძაგლადა ყოფილა დაყენებული. როგორც არა სავალდებულო საგანს, მას მხოლოდ ნახევარ საათს ანდომებდნენ და არა ერთს საათს. მაგრამ ქართულ ენის მასწავლებელს ამ მცირედი დროთიც არ უსარგებლია: ხშირად გაკვეთილებზე არ დადიოდა თურმე და ამით მოსწავლეებშიაც ანვითარებდა იმ აზრს, რომ ქართული ენა მაჩანჩალა საგანია. წრის საბჭოს წევრებს ამ გარემოებისთვის ყურადღება მიუქცევიათ, მაგრამ მაინც არაფერი გამოსულა.

რა არის ეს, თუ არა ნიმუში ჩვენის დაცემისა? თუ ქართული ენის მასწავლებელს არც უნარი აქვს და არც სურვილი ქართული ენის სწავლებისა, რად კისრულობდა ამ მოვალეობას? რად მიდიოდა მასწავლებლად? ნუ თუ მხოლოდ იმიტომ, რომ ყოველ თვე ჯამაგირი იღოს? ისედაც მცირე უფლებები გვაქვს, და ნუ თუ საკადრისია, რომ ინტელიგენტმა ადამიანმა, თუ ის ქართლა ინტელიგენტია, ასე ბოროტად მოიხმაროს თაკისი უფლება?

ჩვენ არ ვიცით ვინ არის ქართულ ენის მასწავლებლად ქალთა მეორე გიმნაზიაში, მაგრამ, ვინც უნდა იყოს იგი, პირდაპირ შეუთვალოთ:

— გრცხვენოდეთ!

შინაური.

წვრილმანეგის პოლიტიკა („კლდე“ № 1)

„კაცს ვერ ნახავთ ჩვენში, რომ საზოგადო ასპარეზზე არ გამოსულიყოს სხვა და სხვა ამართულის დროშით“ („კლდე“ № 1, გვ. 3)

ახალი ჟურნალი „კლდე“ საინტერესოა ყოვლის უწინარეს თავის მედიდურ უკმაყოფილების ტონით. ამ ჟურნალის გამომცემელ ჯგუფს არც საქართველოში მომქმედი პოლიტიკური პარტიები მოსწონს, არც ქართველ საზოგადო მოღვაწეთა საქმიანობა, არც საზოგადო მოღვაწეობის მიმართულება და არც სხვა რაიმე გამოხატულება ქართულ აზროვნების და მოქმედებისა. სამაგიეროდ „კლდეს“ ღრმად სწამს, რომ ქართველ ერის „სახსრებში“(?) არის და იზრდება ფარულად პოტენციალური რამ ძალა, რომელიც ოდესმე აუცილებლივ უნდა ამოძრავდეს და მთელის თავის სიგრძე-სიგანით დასდგეს ჩვენს წინ. აქედან თავის თავად გამომდინარეობს დასკვნა: აღმოვაჩინოთ ეს პოტენციალური ძალა და გადავშალოთ იგი ქვეყნის საკეთილდღეოდ. „კლდის“ პუბლიცისტებიც [illegible] ამ [illegible] ეძებენ.

რას წარმოადგენს ის საიდუმლო პოტენციალური ძალა, რომლის გაშლა განვითარებასაც სწადიანთ ემსახურონ „კლდის“ პუბლიცისტები?

რედაქციის საღსარებო წერილი გვაუწყებს: ერის ბედნიერების საფუძველი არის: „ფართო განათლება და ეკონომიური ძალა ხალხისა შედუღებული ერთად ნაციონალურ ცხოვრების პირობებით და გრძნობებითონ“. ეს უხეში ფრაზა მდაბიო ქართულზე რომ გადავთარგმნოთ მივიღებთ იმ მარტივ აზრს, რომ ერის კეთილდღეობისთვის საჭიროა ეროვნული განათლება და ეროვნული სიმდიდრე. ეს ძველის ძველი აზრი თავის თავად, რა თქმა უნდა, ვერ გამოიწვევდა იმ მედიდურების და უკმაყოფილების ტონს, რომელიც „კლდეს“ ახასიათებს; ვერ გამოიწვევდა, იმიტომ რომ მესამე წლებიდან მოკიდებული დღევანდლამდე ამ აზრის სიმართლეს არავინ არ უარჰყოფს. „კლდის“ ახლად მოვლენილ პუბლიცისტებისთვის დამახასიათებელია არა ეს ძველის ძველი აზრი, არამედ ის გზები და ის საშუალებანი, რომლებითაც ქართველ ერს უპირობს იგი განათლებას და გამდიდრებას.

ქართულ საზოგადოებრივ აზრის ევოლუცია მას შემდეგ რაც საქართველო რუსეთს შეუერთდა, სწორედ იმ მხრივ იყო მიმართული, რომ ზოგადი მიზანი ერის განათლებისა და გამდიდრებისა კონკრეტულ ფორმებში ჩამოყალიბებულიყო. ამ ევოლუციის ნაყოფს წარმოადგენენ ის იდეიური მიმართულებანი და მოძღვრებანი, რომელთა ნიადაგზედაც აღმოცენდნენ ჩვენს დროში მომქმედნი პოლიტიკური ჯგუფები. ამ ევოლუციამ შეურყეველ ქ�მარიტებად აქცია ის აზრი, რომ აპოლიტიზმი ქართველ ერის ცხოვრების პირობებში წარმოადგენს საზოგადოებრივ გულცივობის და უმოქმედობის აპოლოგიას. რა თქმა უნდა, ცხოვრება და საზოგადოებრივი შეგნება იმ წერტილზე არ უნდა გაიყინოს, სადამდეც დღეს მივვიყვანა ისტორიულმა ევოლუციამ. პირიქით, შეგნება უნდა გაფართოვდეს, განვითარდეს და გართულდეს, ისე როგორც რთულდება და ვითარდება ერის ცხოვრების პირობები, მაგრამ განვითარება სხვა არის და ერთის კარმის მოსმით გინებიდან [illegible] ეს [illegible] ამოშლა, [illegible] შეუმუშავებია ქართველ [illegible] ებს, და იმის ნაცვლად ფუჭი ადგილის დატოვება კიდევ სხვა. „კლდის“ პუბლიცისტების მსუბუქი კალამი გალაღებული ჰკლავს ჩვენებურ მიმართულებათა მთავარ პრინციპებს და ტლანქად განაგრძობს: „ჩვენ შინაურ საქმეებზე არავინ ჰფიქრობს, არავის არ სცალიან მისთვის, თითქოს არ ჰკადრულობენო, ეთაკილებათ ამ გვარ წვრილმანებზე ფიქრი და ზრუნვაო“...

მაშასადამე, „კლდის“ ჯგუფს ჩვენებური მიმართულებანი არ აკმაყოფილებს და ჩვენი დროის საქმიანობა სასაცილოდ არა ჰყოფნის. ვნახოთ, თითონ რა იდეიურ საუნჯის პატრონია და რა საქმიანობას ესწრაფვის.

პოტენციალური ძალა, რომელზედაც ზემოდ მოგახსენებდით, „კლდის“ პუბლიცისტების შეხედულებით არის „ღარიბი სოფლის მეურნე, ქალაქის პატარა მეწვრილმანე, ხელოსანი მამაპაპურის სამუშაო იარაღით, უცოდინარი მებაღე, ასეთივე მევენახე.“ ამ „უცოდინო ხალხს“ ბინა სოფლად და პატარა დაბა ქალაქებში აქვს. აღორძინებაც ამ ადგილებიდან უნდა დაიწყოს. აქ, ე. ი. სოფლებსა და დაბა-ქალაქებში, ქართველი და სომეხი ვაჭარი ებრძვის ერთმანეთს. საბოლოოდ გამარჯვება ქართველ ვაჭარს უნდა დაჰრჩეს. ქართულმა ვაჭრობამ სოფელში და პატარა დაბა-ქალაქებში უნდა მოიკრიფოს ძალღონე და მხოლოდ შემდეგ დაიწყოს ბრძოლა ბატონობისთვის სომეხის მსხვილ ვაჭრებთან დიდრონ ქალაქებში, სხვათა შორის ტფილისში. აი მთელი გეგმა „კლდის“ პუბლიცისტებისა. ქართველ ვაჭრების გამდიდრებისთვის მრავალი წვრილმანი საქმე უნდა გაკეთდეს. აქედან—პროგრამა წვრილმანების პოლიტიკისა. სოციალიზმი, ინტერნაციონალიზმი და სხვა ამ გვარი ზოგად- კაცობრიული იდეა იმათ უნდა გაიხადონ სამოქმედო პროგრამის დასაბამად, ვისაც შინ წვრილმანი საქმეები არა აქვს გასაკეთებელი. ქართველებისთვის კი ეს არა თუ საჭირო არ არის, ზოგჯერ პირდაპირ საზარალოა. ამიტომ სხვას ყველაფერს თავი უნდა დავანებოთ და წვრილმან საქმეებზე ვიზრუნოთ...

როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, ხალხის განათლება და გამდიდრება „კლდის“ პუბლიცისტებისთვის არც ერთის მხრივ დამახასიათებელი არ არის. ხალხის განათლება და გამდიდრება იმათთვის უბრალო ფრაზაა. საქმე ხალხი კი არა, ხალხის ის ნაწილია, საიდანაც „კლდის“ გეგმით უნდა გამოვიდნენ ღონიერი, შეძლებული ქართველი ვაჭრები. ამ ვაჭრებმა უნდა განდევნონ ჯერ სოფლებიდან და პატარა დაბა-ქალაქებიდან, ხოლო შემდეგ დიდრონ ქალაქებიდან სომეხი ვაჭრები. ქართველ ვაჭრების გაბატონება საქართველოს მიწა-წყალზე „კლდის“ პუბლისტების შეხედულებით აუცილებელად შეკავშირებული იქნება მთელ ქართველ ერის გამდიდრებასთან და ხელს შეუწყობს „ეროვნულ ეკონომიურ ცხოვრების“ შექმნას.

„კლდის“ პუბლისტები ქართველ ვაჭრის სულის სიღრმეში აფათურებენ ხელს და სწორედ იქ პოულობენ ისეთ თილისმას, რომელიც ქართველ ვაჭარს მარტო საკუთარ სიმდიდრეს კი არ აძებნინებს, არამედ ამასთანავე ერთად მთელის ერის კეთილდღეობასაც. ამ ჰსიხოლოგიურ ხელის ფათურს ჩვენ არ გამოვმკიდებით. დეე, ივარჯიშონ ახლად მოვლენილმა პუბლიცისტებმა. ვიტყვით მხოლოდ, რომ ამის მსგავსი რამ ჰსიხოლოგიური კვლევა-ძიება ჩვენ სხვაგან არსად შეგვხვედრია.

ჩვენის შეხედულობით „კლდის“ დასახასიათებლად სრულიად საკმარისია ისიც, რაც ზემოდ გამოვარკვიეთ. ჩვენს დროში, როდესაც გაძლიერებული რეაქცია რუსეთში მცხოვრებ არა-რუსთა ერების პოლიტიკურ გათვითცნობიერებას სასტიკის სითამამით ებრძვის, წვრილმანების პოლიტიკას თავისუფალი სამოქმედო ასპარეზი აქვს. წვრილმან ეკონომიურ ინტერესებით სამოქმედო ასპარეზის განსაზღვრა ჭეშმარიტად რეაქციის ხანაზე გამოჭრილი პროგრამაა. ამიტომ „კლდის“ პუბლიცისტებს, რომელნიც სხვებს უწუნებენ უმოქმედობას, ჩვენ საბუთი გვაქვს ინტენსიური მოქმედება მოვთხოვოთ... მაგრამ რა მოქმედება?

—ვაჭრების გამდიდრება?!... დაუჯერებელი რამ საქმე გამოდის: საზოგადო მოღვაწე ვაჭრის გამდიდრებას ისახავს მიზნად. ტყუილი თავის შეწუხებაა. ვაჭარმა ოთხონ თქვენზე გევრად უკეთ იცის გამდიდრების საიდუმლოება და არც თქვენი წაქეზება ესაჭიროება. თაფლი იყოს, ბუზი ბაღდადს წავალ. ვაჭარის რის ვაჭარია, სიმდიდრეს არ დაეძებდეს.

მაშ, „კლდის“ პუბლიცისტებმა რით და რა საქმიანობით უნდა გამოხატონ თავისი „ახალი“ მიმართულება?—ამას ალბად თითონ აგვიხსნიან.

ერთი რამ არის კიდევ აღსანიშნავი. ქართული საზოგადოებრივი აზრი და საზოგადოებრივი მზრუნველობა დღევანდლამდე ხალხის მშრომელ ინტერესების ირგვლივ ტრიალებს. ეგრედ წოდებული „მესამე ელემენტი“ ე. ი. შეძლებული ნაწილი ქართველის ხალხისა დღევანდლამდე არც ორგანიზაციურად შოწესრიგებულ ერთეულს წარმოადგენს და არც თავის იდეიურ დამცველებს იძლევა. ეხლანდელ ეკონომიურ პირობებში ამ მესამე ელემენტს ყველან თავისი თავი მიაჩნია ქვეყნის მარილათ. უეჭველია, ქართველ ვაჭრებს და სხვა შეძლებულ ელემენტებსაც სწორედ თავისი თავი ეგულებათ საქართველოს ბურჯად და ამშენებლად. ვერ ვიტყვით, რომ ამ შეხედულებას არავითარი ნიადაგი არა ჰქონდეს. რაც უფრო გაძლიერდება კაპიტალის მნიშვნელობა ეკონომიურ ცხოვრებაში ე. ი. რაც უფრო დაწინაურდება ქართველერის ეკონომიური მდგომარეობა, მით უფრო მეტი საფუძველი მიეცემა საქართველოს მესამე წოდებას სიამაყისა და მედიდურობისათვის. ის გარემოება, რომ დღემდე საქართველოს მესამე წოდებას არც პოლიტიკური ორგანიზაციები აქვს და არც თავის მდგომარეობის შესაფერი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი იდეიური მიმართულება შეუქმნია, ნორმალურ მოვლენად ვერ ჩაითვლება. კაი ხანია ამ ფუჭს ადგილს შევსება ესაჭიროება. „კლდის“ პუბლიცისტების აზრი, ვითომ ქართველ ხალხის აღორძინება ქართველ ვაჭრებზე იყოს დამოკიდებული, გვაიძულებს ვიფიქროთ, რომ „კლდეს“ სწორედ ამ მესამე ელემენტის მისწრაფებათა და ინტერესთა წარმომადგენლობის გაწევა სწადიან.

რა თქმა უნდა, ჩვენ სიამოვნებით ვეგებებით ამ ახალ ჯგუფის გამოსვლას საზოგადო ასპარეზზე. თუმცა ჩვენ არც წვრილმანების პოლიტიკის ვიზიარებთ, არც ვაჭრების გამდიდრებას ვისახავთ მიზნად, არც ვაჭრებისაგან მოველით ქართველ ხალხის გაბედნიერებას, მაგრამ ამ გვარ მიმართულებასაც თავისი საფუძველი აქვს. ჩვენი უთანხმოება, უეჭველია, რაც ხანი გავა, უფრო ნათლად გამოირკვევა, უფრო სასტიკად ჩამოყალიბდება, და ვფიქრობთ, რომ ამ უთანხმოების გამორკვევა სასარგებლო იქნება ყოველის უწინარეს თვით „კლდის“ ჯგუფისთვის, რომელსაც ჯერ-ჯერობით ზოგიერთი საწინააღმდეგო ცნებები ისე არეული აქვს ერთმანეთში, რომ თავარი ხასიათი იმის მიმართულებისა იჩრდილება და იკარგება.

ფკიპურტები.

პურ-მარილი.

— როგორ უნდა მისცეთ ხმა თავ. ვლ. მიქელაძეს, როდესაც იმას არც პოლიტიკური პროგრამა აქვს და არც უნარი პოლიტიკურ საქმიანობისა?

— რასა ბრძანებთ, ბატონო, სანამ იმის თავი მჭირდებოდა, სადილადაც იმასთან ვიყავი, ვახშმადაც, ხანდისხან ფულსაც მაძლევდა, თუმცა ამბობენ ხელ-მოჭერილი კაციაო, და ეხლა ვუღალატო, როცა ჩემი თავი დასჭირდა? აი, როგორ გეტყობათ რომ კარგი ქართველი არა ხართ? უწინდელ დროს პურ-მარილს როგორ დაივიწყებდნენ?

— პურ-მარილი რა შუაშია? თქვენ ხალხის წარმომადგენელს ირჩევთ; ნდობა ისეთს კაცს უნდა გამოუცხადოთ, რომელიც ხალხის ინტერესებს დაიცავს.

— მართალსა ბრძანებთ, თქვენ ნუ მომიკვდებით! იმიტომაც ვაძლევ ხმას, რომ ჩემი ინტერესები დაიცვას. მაშ როგორ გგონიათ, ვლ. მიქელაძე ისეთი კაცია, რომ მე მხარი დაუჭირო და იმან პატივი არა მცეს? თქვენ არ მომიკვდეთ, არა გცოდნიათ, რა კაცია მიქელაძე! არც ერთი იმისი მოძმრე დაუჯილდოვებელი არ დარჩება.

— როგორ უნდა დაჯილდოვოს, რომ, მგონია, იმისი საქმეებიც ჭანდრაკულად არის. ვერ გაიგეთ, რა მომხდარა იმ ბანკში, სადაც თავ. ვლ. მიქელაძე მსახურობს?

— როგორ არა, გავიგე, მით უფრო უნდა დაუჭიროთ მხარი. თუ საწყალმა თავისი დაბნეული საქმეები არ გამოაკეთა, ან თავის თავს რას არგებს და ან მე. კენჭს მივცემ, ბატონო, თითონაც აშენდება და მეც ამაშენებს.

— საქართველო?

— მეწყერსაც წაუღია.

უცნობი.

ძველი ღვთაების ტაძარი ს. იყალთოში

(დასასრული *)

ვერცხლის კოვზზედ წარწერაა: „ბოდბელი იოანე მაყაევი“. კანკელზედ მაღლა ჯვარცმის ვერცხლის ჩუქურთმებიან კანდელზე მხედრულად არის წარწერა: „ძეო და სიტყვაო ღვთისაო მამისაო რომელი განსცხადენ იორდანესა შინა და ხმა მამისა მწამებდა ძე საყვარელად და სული სახედ მტრედისა იხილვა შენზედა სულსა ჩემსა შევავედრებ შენსა სიყიერებასა, ულირსი ბოდბელი იოანე ჩყლა წელსა მისხალი სე“.

აქვეა ვერცხლის აზარფეშა გრძელ ტარიანი მხედრულის წარწერით: „ქ. ბეჟან ერისთვის ასულის ანნასი ვარ“.

აქვე ღვთაების ეკლესიის სალაროში სხვა ნივთთა შორის არის პატარა ხელის გულის ტოლა სახარება მძიმედ შეკერცხლილი და ოქროში დაფერილი შუაში მაცხოვარია და ოთხივ კუთხივ ოთხი მახარობლები მინარქარზე ნახატი. სახარება ხუცურად არის ნაბეჭდი და ბოლოსა აქვს ნაბეჭდი წარწერა: „მაღალ-ბრწყინვალეო თავადო წერეთელო ზურაბ“.

ეს ის ზურაბ წერეთელია, მე ვგონებ, რომელიც სცხოვრობდა იმერეთის კათოლიკოს მაქსიმეს დროს და მასთან ერთად გაგზავნილ იყო დესპანათ იმპერ იკატერინესთან იმერეთის მეფის სოლომონ პირველისაგან და მეორედ მეფე დავითისაგან „რათა მოჰსცენ რუსთა ჯარი საბრძოლველად პირის-პირ თურქთა, რომელთაცა ეპყრათ დროთა ამათ იმერეთი, გურია და თვით ოდიშიცა“ 1770 წ. იმპერატ. გამოგზავნა გენერალი ტოტლებენი ჯარით, რომელიც ქ. ქუთაისს შეუერთდა მეფის ჯარსა“. („იხ. წიგ. „მიმოსვლა იონა რუისისა მიტროპ.“, გვერ. 140. შენიშ. 3. ი.)

მოწყალეო ხელმწიფევ!

არა თავისისა ხოლო თვისისასა ეძიებენ ღვთის მოყვარენი არამედ მოყვასისასაცა თვითეული, რომელ ესე იქნების აღმასრულებელ საღმრთოსა სჯულისა ყოვლისა. მე უკვე რაოდენ მთხოვდა ღვთის მსახურება თქვენი მსახურებისა შეუდექ ბრწყინვალებისა თქვენისასა ვითარცა სუროდა საღმრთოსა სულსა შენსა წმიდა ესე სახარება დაბეჭედე მრავლითა შრომითა და სხვათაცა წიგნთა და წიგნაკთა შინა ნაშრომთა ჩემთა. სახელი შენი აღვწერე ვსასოებ კაცთმოყვარისა ღვთისაგან რათა უზადოთა კეთილმოქმედებითა შენითა წიგნთაცა შინა ცხოველთასა აღაწერო სამარადისოდ, ღვთის მსახურებისა თქვენისა მლოცველი მდაბალი არხიმანდრიტი ზაქარია“. აქვე არის ხის ჯვარი სიმაღლით ხუთი გოჯი, შუაში ჯვარცმა და შემდეგ ყარეშემო სუფთა ხელოვნურის ჩუქურთ-ით ამოკვეთილია თორმეტი საუფლო დღესასწაული. საეკლესიო წიგნებში სხვათა შორის შესანიშნავია ხუცურად ნაბეჭდი კონდაკი შემდეგის წარწერით: „ღმერთო შენ მიაგე მისაგებელი მმბოძებელსა ამისსა მეფეს გიორგის“. მერე ცოტა დაბლა „კონდაკი ესე ბოძებულ არს ყოვლად სამღვდელო ბოდბელ მიტროპოლიტს მაყაევს იოანეს მიერ მისის ძმისწულის გაბრიელისთვის.

ჩყკდ წელსა ივნისის თ-სა დღესა“.

როგორც ეტყობა ეს ეკლესია შემკობილი ყოფილა და სალარო მისი ფრიად მდიდარი ყოფილა, მაგრამ ეხლა მისი ნათალიც აღარა არის რა. ამას ვამბობ ამიტომ რომ აქ ეკლესიის საქმეებში ვნახე ძველი სია შედგენილი 1811 წ., რომელშიაც ჩამოთვლილია მთელი კუთვნილება შესამოსით, ფეალით, მარგალიტით, ოქროთი და ვერცხლით სავსე მაშინდელი სალარო ამ ეკლესიისა. წარმოიდგინეთ აქვე ვნახე მეორე სია თორმეტი წლის შემდეგ შედგენილი ე. ი. 1823 წ. და ამ თორმეტი წლის განმავლობაში სადღაც გამქრალა ეს სიმდიდრე და ვიღაცა უგნურის ხელი შეხებია მას.

ამ 1823 წ. სიაში მეხუთედი თუ რამ კიდე დარჩენილა. ეს სია ერთიცა და მეორეც გადმოვიწერე საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისთვის; აქედან ცხადად სჩანს რა ბევრი ძვირფასი სამკაული, შესამოსი თუ სიმდიდრე დაუტაცნიათ.

როდესაც ღვთაების ეკლესიის ძველ წიგნებს ვსინჯავდი სრულებით უცაბედად წავაწყდი ერთ ფრიად შესანიშნავ წარწერას: „ჯვარის მონასტერში არსენი ვაჩნაძე კაცი ფილასოფოსი და მთარგმნილი ღრმათა წერილთა და მოძღვარი დავით აღმაშენებლისა, ესე ასაფლავია იყალთოს მონასტერში, სადაც აქვნდა მას დიდი სასწავლებელი“.

ეს იყალთოს ღვთაების ეკლესია როგორც საქმეებიდან სჩანს 1827 წ. განუახლებია ბოდბელ მიტროპოლიტ იოანე ომანის ძე მაყაშვილს და უკანასკნელად 85 წლის შემდეგ შიგნით და გარეთ როგორც ეს ღვთაების ეკლესია, ისე ორი ეკლესია აქვე გაუახლებია და გაუმშვენებია ცნობილ ქველ-მოქმედს და სამაგალითო მემამულეს დიმიტრი ივანეს ძე თ. მაყაშვილის.

ზ. ჩხიკვაძე

მოწერილი ამბები

სოფელ წილკანი (დუშეთის მაზრა) 5 ენკენისთვეს ამ სოფელში მოჰკლეს ყაჩაღი ჩილინდრიშვილი, „ქარუმად“ წოდებული ხალხში. მისმა ცუდმა ყაჩაღობამ და ვაჟკაცობამ იმსხვერპლა ექვსი ვაჟკაცი და ერთი გასათხოვარი ქალი, რომლებმაც ამ ყაჩაღთან ერთად ყოფის გამო ციხეში ამოჰყვეს თავი. ჯერ ეს, და ვინ იცის, იკმარებს ეს უგვანო ყაჩაღი ამ მსხვერპლს.

მცხეთის ბოქაულის თაოსნობის და გაბედულობის წყალობით ამ სოფელს და მთელი დუშეთის მაზრას მოჰშორდა მეტად შემაწუხებელი და წვრილმანი ყაჩაღი. შუადღის გულზე ბოქაული დუმბაძე ჭალა-ჭაღია და სიმინდებ-ვენახებით მივიდა იმ სახლთან, სადაც ყაჩაღი ჩილინდრიშვილი და მისი „იძულებულნი თანა მოსუფრენი“, როგორც დატუსაღებული გლეხები ამობენ,—ქეიფობდნენ. ბოქაულის მუქარამ „მოიტა თივაო“, გასჭრა და შეზარხოშებული ყაჩაღი გარეთ გამოვარდა თურმე თოფისა და რევოლვერის სროლით დაეშვა ვენახებისკენ, მაგრამ პოლიციის მარჯვე სროლამ შორს არ გაუშვა და იქვე დასცა უსულოდ.

მოკლეს ყაჩაღი. ასეთია ყველა თავაგდებულ და უთავბოლოდ მოხეტიალე ყაჩაღების ბოლო. არც სატირელია, არც სადარდებელი, ის ყაჩაღი, რომელსაც იმდენი ვაჟკაცობაც კი ვერ გამოუჩენია, რომ მოჰშორდეს თავის სოფელს, წავიდეს შორს სადმე და იქ მოიკლას თავის გულის ბუხარი.

ამას წინედ გაზეთებში წავიკითხე, რომ ყაჩაღების მკვლელი ყოვლად ჰატიოსანი ახალგაზდები ციხეში მოჰყვნენო. სოფ. წილკანშიც გასწირეს ბიჭებმა თავი და აბეზარ ყაჩაღს შუადღისას პოლიცია დაჰხვიეს თავს. მერე რა მიიღეს სანაცვლოდ: ყაჩაღი მოაკვლევინეს, მაგრამ სოფელიც პოლიციის მხედველობაში ჩააგდეს, რამოდენიმე მეზობელი ციხეში ჩასვეს, რომელთაც ყაჩაღის დაფარვისთვის კატორღა მოელოთ. მხოლოდ იმისთვის, რომ თავზე ხელ აღებულმა ყაჩაღმა უბრძანა ჩემთან იქეიფეთ თორემ შავდღეს დაგმართებთ, და ისინიც დაჰმორჩილდნენ ამ ბრძანებას.

8 ენკენისთვეს ს. წილკანში ღვთის მშობლობა იცის. წრეულ მეტი სიხარული მეტი ლხენა და ცეკვა იყო აქ. მცხოვრებნი ამბობენ ამისთანა სიმხიარულეს და გულუხვობას არ შევსწრებივართო. ალბად შეწუხებულმა ხალხმა, ზემოხსენებულ ყაჩაღის მოშორებით თავისუფლად ამოისუნთქა. ვუსურვებ წილკნელებს ფხიზლად ყოფილიყვნენ და სადაც სიავის ბუდე მიაჩნიათ, იქ გაეჩაღებინოთ სინიდის-ნამუსით სავსე ცხოვრება. ბევრი უხდია ჩვენს სოფელს, ბევრს გადიხდის კიდევ, თითო-ოროლა ავი კაცი წილკანს ვერ გადაახვევინებს წინ სვლისაკენ ლტოლვას. თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ მთელ დუშეთის მაზრაში ამაზე შემძლე სოფელი არ მოიპოვება. ქონება ამ სოფლისა ხვნა-თესვით ვენახებ-ბაღებში და მწარე ოფლის ღვრით იძინება. საუბედუროდ არ ჰყავს ინტელიგენცია, ამოდენა სოფელი, სამას კომლამდე იქნება, ისეა მიტოვებული, მხოლოდ ერთი სამრევლო სკოლაა, რომელიც ვერც ნასამედ ითავსებს.

ბ. ცაგარელმა ამ ზაფხულს საკრედიტო ამხანაგობის დაარსება დაიწყო, დაგვპარდა ერთს თვეზე გავხსნით სამოქმედოთ კასასაო, მაგრამ ჯერაც არაფერი ისმის. საჭიროა დაჩქარდეს ეს საქმე. ხალხი ცოტათი შეინძრევ. შემოინძრევა და თავის უვიცობას დაავძრენს თავს. მერე ნახეთ წილკნის აყვავება და გავლენა ირგვლივ სოფლებზე. მრწამს ცხოველმყოფელობა ამ სოფლისა და ციმედოვნებ, რომ ძველებურად წილკანი მაღლა ასწევს თავს და ირგვლივ წვრილ სოფლებს გაჰკივლებს: მომდიეთ მე და გაპოვნინებთ ბედნიერებას!.. ყველაფერი უწყობს ამ მეთაურობისთვის ხელს წილკანს: ერთად ამოდენა სოფელი, მდებარეობა ფერდობზე, წინ ვენახები, მშვენიერი სასოფლოდ ნაყიდი საძოვარი და სახნავები, სარწყავი წყალი; გათქმულია წილკნის კიტრი და კომბოსტო. სასმელი წყლის ჩამოყვანასაც ებრძვიან და ჩამოიყვანენ კიდეც, წინ ჭალა მუხნარი, უკან ჯაგნარი ფერდობი, სადაც გაზაფხულზე ყველაზე ადრე აბიბინდება ხოლმე მწვავე ზამთრისგან შეწუხებულ და დალუბებულ საქონელ-მცხვრის გასახაროდ. აი სამკალი, მომკალი არ უჩანს მხოლოდ.

მივმართავ სოფლიდან გასულ ნასწავლ-განათლებულ ადამიანებს ხშირად იგონებდნენ ხოლმე თავიანთ სამშობლო სოფელს, და არა მარტო მღვთიშობლობას, რომ გაჩაღდეს ამ მეტად ცოცხალ და ენერგიით სავსე სოფელში სწავლა-განათლება. ამ ენერგიისა და მოუსმარებელ ცხოველ მყოფელ ძალის შედეგია, როგორც წამიკითხამს ის ამბავიც, რომ წილკანი ხამუშ-ხამუშ იძლევა ყაჩაღს და თავზე ხელაღებულ ადამიანებს.

„მივხედოთ სოფელს“,—აი აღთქმა, რომელსაც ყოველ წლივ უნდა სდებდნენ წილკნის ტაძრის გალავანში ჩვენი ახალგაზდა განათლებული სოფლელნი. თუ ვიგრძნობთ სიყვარულს და წმინდა მოვალეობას ჩვენი სოფლის წინაშე, მაშინ ეს გრძნობა თვითონ გვიჩვენებს როგორ და რა საშუალებით მივეშველოთ ბნელაში მოსიარულე ჩვენ თანამოძმეს.

ღვთისმშობლობა დღეს ქიდაობა, თამაში და ლხინი ბერი იყო. არა სჩანდა გამგე და მომწყობი ამ ხალხის გასართობ და სასიამოვნო ვარჯინობისა.

იესე წილკნელი.

ს. ღადიში (ქვემო რაჭა). წარმოადგენს მთა გორიან ადგილს და შეიცავს სამოცამდე კომლ მცხოვრებს. ჰავა ძლიერ საღია. აქაურები უმეტესად ხვნა თესვას მისდევენ. ზოგი კი გადახვეწილია იმერეთში, ან შორეულ ქალაქებში, დურგლებად თუ მეპურედ და ოროლ წლობით მიტოვებული ჰყავთ ცოლ-შვილი სახლში. აბა რა უნდა ქნან, როდესაც მიწა ორი ან სამი დღისა გააჩნიათ და ისიც მწირი და უნაყოფო. სარჩო გაზაფხულამდის არა სწვდებათ. ვენახი ჯერ ხომ ნაკლებად ჰქონდათ და რაც იყო ისიც ფილოქსერამ მოსპო. წელს მოსავალი ძლიერ ნაკლებია.

ორი წელიწადია რაც აქ რაარსდა სამინისტრო სკოლა. შენობის უქონლობის გამო სწავლა სწარმოებს მეორე სოფლის დაქირავებულ სახლში. წელიწადზე მეტია რაც შეუდგენ ახალი სკოლის აშენებას, მაგრამ ჯერ მოთავება ვერ ეღირსა.

ი. კორდელი.

ბიბლიოგრაფია

„Древне-грузинскій Архіератиконъ“. Грузинскій текстъ, изданный комитетомъ церковнаго музея подъ редакціей съ предисловіемъ прот. Кор. Кекелидзе. Тифлисъ 1912 г.

ამ სათაურით გამოვიდა ამ დღეებში ახალი შრომა ჩვენი საეკლესიო მწერლობის ღრმად მცოდნე დეკ. კორ. კეკელიძისა; ის შეიცავს ქართულ ტექსტს ერთ უძველეს ხელნაწერისას, რომლისთვისაც გამომცემელს დაურქმევია არქიერატიკონი, ესე იგი,—სამღვდელთ-მთავრო კონდაკი. ტექსტს წინ მიუძღვის ვრცელი მეცნიერული წინასიტყვაობა, რომელშიაც ავტორი გვაცნობს: როდის გაჩენილა ჩვენში არქიერატიკონი, როდის გადაუთარგმნიათ და გადაუწერიათ ის, რომელ ენიდგან უთარგმნიათ და სხ. წინასიტყვაობა თავდება ტექსტის კრიტიკით, სადაც ავტორს აუნუსხავს ხელნაწერის საყურადღებო თვისებანი. შინაარსის მიუხედავად ტექსტი იმითაცაა შესანიშნავი, რომ ასაბუთებს ავტორის აზრს: ჩვენში არქიერატიკონი გაჩენილა მაშინ, როდესაც საბერძნეთში ამის ხსენება არ იყოო. გადათარგმნილია ის იმ ეპოქაში, რომელიც წარმოადგენდა ქართულ-იერუსალიმის ლიტურგიულ პრაქტიკის ერთიანობას, ხოლო გადაწერილია 1002—1012 წ. კათალიკოზი სვიმონის დროს. ტექსტი შეიცავს იაკობ მოციქულის ჟამის-წირვას, რომელიც ჩვენში სრულდებოდა თითქმის მეთორმეტე საუკუნემდის, და სამღვდელო-პირთა ხელდასხმის წესს; საყურადღებოა, სხვათა შორის, კათალიკოზის კურთხევის წესი.

ასეთია, მოკლედ, შინაარსი ჩვენი ახალგაზდა, ენერგიული და დაუღალავი მკვლევარის შრომისა იმ მკვლევრისა, რომელმაც, ნახევარი წელიწადი არ გასულა მას შემდეგ, რაც დაბეჭდა შესანიშნავი თხუზულება „იერუსალიმის კანონარი“. წიგნი გამოცემულია საეკლესიო მუზეუმის ხარჯით. აქ უნდა აღვნიშნოთ ერთი გარემოება. საეკლესიო მუზეუმი ხშირად სცემს ხოლმე ჩვენი ძველი მწერლობის ნაშთებს, აგერ ეს, მგონია, მეექვსეტე გამოცემაა მისი. მაგრამ საკმაოა თვალი გადაავლო მის წინანდელ გამოცემებს, რომ დარწმუნდე მათ, თითქმის, უვარგისობაში მეცნიერულის მხრით. ძველი ტექსტები უნდა იცემოდეს არა რაიმე პრაქტიკულის მოსაზრებით, არამედ მეცნიერულის; ამისთვის მით უფრო მადლობის ღირსია დეკ. კ. კეკელიძე, რომელმაც მოგვცა ნამდვილი მეცნიერულად შემუშავებული ტექსტი ჩვენი უძველესი მწერლობისა. წიგნი ღირს ერთი მანეთად და იყიდება მუზეუმის შენობაში.

ი. პ—ვი.

კიდევ აზეფი.

რუსეთის გაზეთებს პარიზიდან ატყობინებენ იმ წერილის შინაარსს, რომელიც აზეფს მიუწერია ბურცევისთვის. „სასამართლოს წევრებად უნდა იყვნენ,—სწერს აზეფი,—ყველა ჩემი წინანდელი ამხანაგები. სასურველია, აუცილებელიც არის ვ. ბურცევის ყოფნა. სასურველია, სასამართლოს ჩემი ცოლიც დაესწროს, რათა მან შემდეგ ჩემს შვილებს გადასცეს თავისი მოგონებანი და შთაბეჭდილებანი. მე დავემორჩილები სასამართლოს განაჩენს, თუნდაც ამან სიკვდილით დასჯა გადამიწყვიტოს, მხოლოდ ერთის პირობით: განაჩენს მე თვითონ მოვიყვან სისრულეში, სასამართლომ უნდა გამომიცხადოს განაჩენი და მე კი მას სისრულეში მოვიყვან 24 საათის განმავლობაში. ეს დრო საჭიროა ჩემთვის იმისთვის, რომ სიკვდილის წინ ზოგიერთი განკარგულებანი მოვახდინო და ვინახულო შვილები, თუ, რა თქმა, უნდა, ჩემმა ცოლმა ამის ნება დამრთო. თუ ეს წინადადება მიღებულ იქნება, სოციალისტ-რევოლუციონერთა ცენტრალუმა კომიტეტმა გაზეთ „მატენ“-ის შემწეობით უნდა გამომიცხადოს ეს. მე მაშინვე პარიზში მივალ. სასამართლოს სხდომების ოქმები უნდა საჯაროდ გამოცხადდეს. რა წამს განაჩენი სისრულეში იქნება მოყვანილი. 24 საათის განმავლობაში შეუძლიანთ ოთახში დამამწყვდიონ, თუ გაქცევისა ეშინიანთ. განაჩენს ხელი უნდა მოაწერონ ყველა ჩემმა მოსამართლეებმა და ბურცევმა. ამ წერილის პასუხს დავუცდი 1912 წლის 3 დეკემბრამდე, შემდეგ კი თავისუფლად ჩავთვლი თავსა“.

ბურცევს თავის მხრით საჭიროდ მიაჩნია, ცენტრალური კომიტეტი დასთანხმდეს და გაასამართლოს აზეფი, რადგანაც იმედი აქვს, რომ იგი ბევრს რამე საყურადღებოს აღმოაჩენს.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

20 ენკენისთვე.

საზღვარ-გარედ

ავსტრიის დელეგაციები.

ვენა. ავსტრიის დელეგაციის სამხედრო კომისიაში მომხსენებლებმა აღნიშნეს სერიოზული პოლიტიკური მდგომარეობა და გამოსთქვეს მშვიდობიანობის სურვილი. თუ მშვიდობიანობა დაირღვაო, სთქვეს მომხსენებლებმა, ავსტრიის ჯარი თავგამოდებით იბრძოლებსო. ან სიკვდილი, ან გამარჯვებაო. ავსტრიის დელეგაციის გარეშე საქმეთა კომისიამ მიიღო მოხსენება ბაკეგეოსი, საცა ვრცლად იყო აღნიშნული უკანასკნელ წლების პოლიტიკური მოვლენანი. მწვავე კამათის დროს გამოირკვა აზრი, რომ რუსეთს ნდობით მოვეპყრათ მშვიდობიანობის დასაცავათო. კომისიამ მოიწონა მინისტრის აზრი, რომელიც მშვიდობიანობის პოლიტიკას ადგია, და მხოლოდ თავის დაცვას ჰქადაგებსო.

ბალკანეთის კრიზისი.

ლონდონი. საზონოვი ენერგიულად მოითხოვს მშვიდობიანობას. სამ სახელმწიფოთა კავშირი სცდილობს ხელი შეუშალოს ომს. ოსმალეთს სახელმწიფოთა წარმომადგენელნი ურჩევენ რეფორმების მოხდენას.

პარიზი. გაზეთები აღნიშნავენ ბალკანეთის რთულ მდგომარეობას. სხვა სახელმწიფოებს შეუძლიან შეთანხმებულის მოქმედებით ხელი შეუშალონ ომსაო.

ბუქარესტი. მეოთხე კორპუსის მობილიზაციის ხმები არ გამართლდა. მშვიდობიანობაა.

ცეტინიე. ხალხის ბრბომ ოვაცია გაუმართა მეფეს. მეფემ მოკლე სიტყვით მიჰმართა ხალხს. მობილიზაცია გამოცხადებულია, რადგანაც ამას მოითხოვს საქმის ვითარებაო.

სოფია. შუაღამემდე იმართება მანიფენსტაციები. ხალხი აღტაცებულია. ქუჩებში მიტინგები იმართება. ისმის სიმღერა და კიჟინა. გამოცხადებულია სამხედრო წესები.

ბერლინი. დიდი სახელმწიფოები სცდილობენ დემობილიზაცია მოახდინონ ბალკანეთში. წინადადებით, რომლითაც საზონოვმა მიჰმართა სოფიასა და ბელგრადში მშვიდობიანობის დასაცავად, დიდ სიხარულს იწვევს ხალხში. რუსეთის გავლენა ბალკანეთზე დიდია.

ალექსანდრია. ბერძენთა კოლონია სიხარულით მიეგება მობილიზაციის გამოცხადებას. 1,000 მეტი ჯარის-კაცობის მსურველი აღმოჩნდა. ისინი იგზავნებიან საბერძნეთში.

ბერლინი. საღამოს გაზეთებში გამოცხადებულია კიდერლენ-ვეხტერის განცხადება ბალკანეთის ამბებზე: დიდი სახელმწიფოები არ დასთანხმდებიან, რომ რაიმე ტერიტორიალური ცვლილება მოხდეს ბალკანეთშიო. თუ ომი კეთილად დაბოლოვდება ბალკანეთი სახელის შეტს, არაფერს შეიმატებსო. ომის გამოცხადება კარგ განწყობილებაში ჩააყენებს ოსმალეთს იტალიასთან, რასაც ოსმალეთის გაძლიერება მოჰყვებაო. თუ ბალკანეთის სახელმწიფოები ამას შეიგნებენ, ომი აღარ ასტყდებაო.

სოფია. სახალხო კრება 22 ენკენისთვეს მოხდება. სასწავლებლებდაკეტილია. დაკეტილია აგრედვე მაღაზიები. ხალხი სადღესასწაულო გუნებაზეა. ქუჩებში მანიფესტაციებია.

ლონდონი. საზონოვის მოლაპარაკებას ბალმორალში შედეგად ის მოჰყვა რომ ინგლისის და რუსეთის მთავრობის კავშირი უფრო განმტკიცდა. სპარსეთის განაწილების თაობაზე, არამც თუ ლაპარაკი არა ყოფილა, არამედ რუსეთს არც კი უფიქრია ინგლისი სპარსეთს დესუ

---

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 700.

როს. რაც შეეხება ბალკანეთის საქმეებს, ინგლისიც და რუსეთიც დაინტერესებულნი არიან მშვიდობიანობა დაამყარონ.

ჩინეთი.

მუკდენი. მონღოლელ უდაის შესაპყრობად დიდ ჯილდოს ჰპირდებიან. რადგანაც მანჯურიის და მონღოლიის საქმე გამართლდა, საქმის გასარჩევად დაინიშნა ორი წარჩინებული.

ციციკარი. გუბერნატორმა გაქცეულ მონღოლებთან მოციქული გაგზავნა, რათა უკან დაბრუნდნენ.

ზისმანი. მონღოლებისგან დასაცავად შარასუმში 100 ჩინელი ჯარის კაცი მივიდა.

სპარსეთი.

თეირანი. ფიდაები სატახტო ქალაქს სტოვებენ დ უერთდებიან იარმაჰამედ-ხანს.

რუსეთი

გაზეთის დაჭერა.

პეტერბურგი დაიპირეს გაზეთ „ლუჩის“ მესამე ნომერი.

არჩევნები.

კიევი. სახელმწიფო საბჭოს წევრის ამომრჩევლად მრეწველების მხრივ აირჩიეს ხანენკო.

ნოვოგოროდი. წინასწარ კრებებზე რწმუნებული ნოვოგოროდის მაზრაში აირჩიეს 9 მღვდელი და 9 წვრილი მემამულე. ამათში 3 აზნაურია, 5 მღვდელი, 1 მდაბიო მოქალაქე. კრესტეცკის მაზრაში აირჩიეს 5 მღვდელი, 1 წვრილი მემამულე აზნაური. ვალდაის მაზრაში—8 მღვდელი, ტიხვინისაში—17 მღვდელი.

ეკატერინბურგი იზიასლავში წვრილ მემამულეთა რწმუნებულებმა აირჩიეს 9 მღვდელი, 3 მემამულე და ერთი კსენდზი.

პეტერბურგი. პეტერბურგის დეპეშათა სააგენტო იუწყება არჩევნების მსვლელობაზე: წვრილ მემამულეთა და მღვდლების წინასწარ კრებებზე: ასტრახანის გუბერნიაში არჩეულია რწმუნებულად 16 მღვდელი, ბესარაბიის გუბერნიაში 35 წვრილი მემამულე, ვიტებსკის გუბერნიაში—19 მღვდელი, 2 მდაბიო მოქალაქე, 2 გლეხი, 1 აზნაური და ერთი კსენდზი. ვიატკაში—43 მღვდელი, კალუგის გუბერნიაში—120 მღვდელი, 28 წვრილი მემამულე. კიევის გუბერნიაში 477 მღვდელი, 36 წვრილი მემამულე. ამორჩეულთა შორის ორი მესამე სათათბიროს დეპუტატია. ლიფლიანდიის გუბერნიაში აირჩიეს ერთი აზნაური, ნოვგოროდის გუბერნიაში—137 მღვდელი, და 11 წვრილი მემამულე; ორენბურგის გუბერნიაში—93 მღვდელი, პენზის გუბერნიაში -142 მღვდელი და 17 წვრილი მემამულე; პოლტავის გუბერნიაში 208 მღვდელი და 60 წვრილი მემამულე, რიაზანის გუბ. 14 აზნაური, 13 მოხელე, 4 ვაჭარი, 2 მდაბიო მოქალაქე, 1 მღვდელი და ერთი გლეხი; სარატოვის გუბ.—15 აზნაური, 6 მდაბიო მოქალაქე, 1 საპატიო მოქალაქე, 1 კაჭარი, სტავროპოლის გუბერნიაში 23 მღვდელი, ტავრიდის გუბ.—48 მღვდელი, 43 თათარი, 10 გერმანელი, 6 წვრილი მემამულე, 3 მდაბიო მოქალაქე, 1 გლეხი. ტულის გუბ. 13 აზნაური, 3 წვრ. მემ. 2 გლეხი, ერთი მოხელე, ერთი მდაბიო მოქალაქე, ერთი კერძო ვექილი; უფის გუბ.=21 მღვ. 7 მუსულმანი, 5 მემამულე, 4 ვაჭარი, 2 ექიმი, ერთი ნაფიცი ვექილი, ერთი აზნაური, ერთი მდაბიო მოქალაქე; ხერსონის გუბ.—5 წვრილი მემამულე; იაროსლავის გუბ.—147 მღვდ., 3 აზნ., 4 ვაჭარი, 1 მემამულე. კელციის გუბ.—60 გლეხი, 7 კსენდზი; ლიუბლინის გუბერ. 42 წვრილი მემამულე, 17 გლეხი, 4 კსენდზი; სედლეცის გუბ.—109 გლეხი, 26 შლიახტელი, 2 კსენდზი; ჩერნიგორის გუბ.—3 აზნაური, 1 საპატიო მოქალაქე, ერთი მოხელე.

ვიატკა. ვიატკის მაზრაში წინასწარ კრებაზე არჩეულია რწმუნებულად 6 მღვდელი.

უცხოეთი

ომის მოლოდინში.

ბალკანეთზე საქმე ისე გამწვავდა, რომ ხალხი ყოველ დღე ელის ომას გამოცხადებას. მცხოვრებნი შეშფოთებულნი არიან. ბულგარეთის მთავრობა ომისთვის ჩუმ სამზადისშია. დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია მეფის განკარგულებამ, რომლის ძალითაც ჯარის აღლუმი შეჩერებულია. ამის მიზეზის ძიებაში არიან: რას ნიშნავს ეს ამბავი, ომს მოველოდეთ, თუ მშვიდობიანობასო! ეს უფრო კი ომის მომასწავებელია. შესაძლებელია ბულგარეთმა ასტეხოს ბრძოლა ომის გამოუცხადებლივ. მთელი ბალკანეთი აღელვებულია. ბალკანეთს ომი სწყურიან.

რა სწადიან რუმინიას?

რუმინია შორიდან უყურებს ბალკანეთის მღელვარებას, იგი საქმის ვითარების აწონ-დაწონვაშია. მას ჰსურს დააწყნაროს [illegible]ისთვის გამზადებული მეზობელი სახელმწიფოები. მაგრამ, თუ უთანხმოება გაჩაღდა, რუმინია ეცდება ბალკანეთის ტერიტორიაში არავითარი ცვლილება მოხდეს. ამ მიზნისთვის დაუახლოვდა რუმინია ავსტრიას და გერმანიას. რუმინია რუსეთს არ ენდობა. მას რუსეთის ძველი გაკვეთილი ახსოვს: რუსეთის წყალობით დაჰკარგა მან ბესარაბია.

რევოლუციის შიში ჰუნგრეთში.

ვენელები დიდ შიშში იმყოფებიან. პარლამენტში მოახდარი არეულობა ფართო ხასიათს იღებს და შესაძლებელია პარლამენტის არეულობა ქუჩებში იქმნას გადატანილი. სოციალისტური გაზეთი ვენაში მუშებს რევოლუციისკენ მოუწოდებს, საყოველთაო საარჩევნო უფლების მოსაპოვებლად. მთავრობა რევოლუციის ასაცილებლად გარნიზონებს აძლიერებს. მაგრამ საქმე ამით ვერ გათავდება. პარლამენტის თავმჯდომარეს და ოპოზიციის შორის ბრძოლა მწვავდება. ან პარლამენტი უნდა დაითხოვონ, ან და ტისა მოაშორონ თავ'ჯდომარის ალაგს.

ომის მოლოდინში.

ბალკანეთის ამბები დიდს შიშს იწვევს მთელს ევროპის დიპლომატიურ წრეებში. დაბეჯითებით ამბობენ, ბალკანეთის დახლართულ საქმეებს ომი თუ გამოასწორებსო. ამ ხმებს განსაკუთრებით ბალკანეთის სახელმწიფოთა სომარი სამზადისი აძლიერებს. პორტა, მაგალითად, ინგლისურ გაზეთების გადმოცემით, დარწმუნებულია, რომ მაკედონიის საკითხის გადაწვეტა მხოლოდ ომს შეუძლიან. ოსმალეთი ისეთს წინადადებით მიჰმართავს იტალიას, რომ ეს უკანასკნელი მაშინვე მშვიდობიანობის ჩამოგდებას დასთანხმდება. ამით ოსმალეთს ხელ-ფეხი გაეხსნება და ბალკანეთის სახელმწიფოთა წინააღმდეგ დაიწყებს მოქმედებას. ოსმალეთის მთავრობა დარწმუნებულია, რომ სესხის აუღებლად სამხედროებს შეუძლიან ომი აწარმოოს. ამასთანავე ოსმალეთი ჯარის მობილიზაციას განაგრძობს. მეორის მხრით, ბალკანეთის სახელმწიფონიც ემზადებიან სომრად. ბულგარეთმა ბრძანება გასცა, რომ სათადარიგო ჯარი მზად იყოს სომრად, ავსტრიაში ბევრი სომარი იარაღი შეუკვეთა და დასასვენებლად წასული გენერლებიც დაიბარა. 15 (28) ამ თვისას სერბიაშიაც მობილიზაცია გამოაცხადეს, თუმცა მთავრობა ჰძალავს ამ ამბავს. სათადარიგო ჯარს ებრძანა, სომრად მზად იყოს.

ღია წერილი

ბ-ნს მ. ჯანაშვილს

ბატონო ჯანაშვილო, თქვენ ძლიერ უწყრებით ჩუბინაშვილისა და ბევრჯელ უსაყვედურებთ არა გცოდნიათ ესა და ეს სიტყვა საიდგან შემოვიდაო. მეცნიერულს კვლევა-ძიებაში საყვედურსა და წყრომას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ თვითონ თქვენც გაქვთ შეცდომა; მაგალითად, სიტყვა მანდალი არც ქართულია და არც ევროპიული. იგი წარმოსდგება ორის სიტყვისაგან **შამ**=სანთელი და **დალ**=დასადგამი, ეს ორივე სიტყვა ყირღიზებში მაქვს გაგონილი.

ექიმი **ს. გძელიშვილი.**

თეატრი და ხელოვნება

სახალხო სახლი. ქართულ სახ. წარმ. მმართველი წრის მიერ ალ. წუწუნავას რეჟისორობით 23 ენკენისთვეს წარმოდგენილი იქნება ცნობილი 4 მოქ. დრამა სტუდენტების ცხოვრებიდან ლ. ანდრეევისა „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“. მონაწილეობას მიიღებენ: მსახიობი ქ-ნი პიერეტტა და წრის სცენის მოყვარეთა დასი. ადგილების ფასი 5 კ.—50 კ. დასაწყისი სალამოს 8 საათზე. რეჟისორი ალ. წუწუნავა.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

გამოსაძებელი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა
(საზაფხულო).

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: ჩქარი მატარ. № 2, პლაცკარტით დილის 10 ს. 8 წ. **საფოსტო** № 4, ღამის წ. 12 ს. 10 **სახალხო** № 6, ნაშუადღ. 2 ს. 44 წ. **ნარეკი** მე-[illegible] კლ. ვაგ. ან მე-III, დილის 4 ს. 37 წ.

ბათუმისაკენ: ჩქარ. მატ. № 11, პლაცკარტით ღამის 10 ს. 44 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 41 წ. **სახ.** № 5, საღ. 6 ს. 36 წ. **ნარეკ.** მე-[illegible] ან მე-III კლ. ვაგ. დილ. 6 ს. 18 წ.

ბორჯომისაკენ: სახ. № 7/8 დილ. 7 ს. 58 წ, **სახ.** № 9/10 ნაშუადღ. 3 ს. 5 წ.

მცხეთაში: საბარაკო მ ა ტ. № 77 a **, ნაშუადღ. 3 ს. 55 წ. **საბარ. მატ.** № 77 **, დილ. 8 ს. 45 წ.

ჯულფისკენ: საფოსტო № 74/75 ღამის 12 ს. 40 წ.

ერევნისაკენ: სამგზ. და **საბარგო მატ.** № 78/79, მე-II და მე-III კლ. ვაგონ., საღ. 7 8 წ. **სახ.** და **საბარგ. მატ.** № 109|104 I—III კლ. ვაგ. დილ. 1 ს. 28 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან: ჩქარ. მატ. პლაცკარტ. № 1, საღ. 9 ს. 56 წ. **საფ.** № 3, დილ. 8 ს. 41 წ. **სახ.** № 5, ნაშუადღ. 5 ს. 51 წ. **ნარ.** მე-V ან მე-III კლ. ვაგ. № 107, დილ. 4 ს. 56 წ.

ბათუმიდან: ჩქარ. მატ. პლაცკ. № 12, დილ. 9 ს. 18 წ. **საფ.** № 4, საღ. 11 ს. 15 წ. **სახ.** № 6, ნაშუადღ. 1 ს. 59 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 106, ღამ. 3 ს. 40 წ.

მცხეთიდან: საბარაკ. № 76 a*, საღ. 8 ს. 28 წ. **საბ.** № 76 **, ნაშუადღ 1 ს. 28 წ.

ბორჯომიდან: სახ. № 9|10 აღ. 9 ს. 8 წ. **სახ.** № 7|8, დილ. 7 ს. 8 წ.

ჯულფიდან: საფ. № 72|73, დილის 7 ს. 26 ს. **ერევნიდან საქონ.** და **სახ.** № 80|81, შუადღის 2 ს. 48 წ. **საქონ.** და **სახ.** № 110|111, ღამ. 8 ს. 33 წ.

სასასნიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **ვ. ფომინა-ოსიპოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. ვ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და. ხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

უფასო სამედიცინო დახმარება
ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები

1—2 **გ. ა. გედეანი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **ფ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

5—6 **ტ. ფ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 715).

8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).

10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71.

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებებს** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. ქარიოლის 1. № 6.

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
მუდმივის საწოლებით.
გადავიდა ახალ გინაზე
მიხეილის ქუჩა, № 49 და რეუტოვის მისახვევი № 2. ტელეფონი № 1026.

ავადმყოფებს იღებენ:

ალაჯანოვი მიხ.—საშარდე ორგანოთა, ათაშინგისა და ენის სნეულებისა. ნაშუად. 12—1 ს.

ვნუკოვი მ. პ.—ქირურგიულ სნეულ. ნაშუად. 1—2 საათამდე.

ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგან, ნერვებისა სულით-ავადმყ. ელექტროტერაპატია დილ. 11—12 საათამდე.

კიმონტი გ. პ.—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.

მაგაკიანი გ. ნ.—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. 11½—12½ სათ.

შამაში ი. ი.—ქირურგიულ ავადმყ. 12—1 საათამდე.

სამკურნალოში სწამლობენ ელექტრონითა და მასაჟით. იხდენენ გამოკვლევას მიკროს ოპიულ, ბაქტეროლოგიურსა და ქიმიურს. ყვავილს უცრიან. ძიძებს ამოუ ებენ. რჩევის ფასი ათი შაურია. ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით.

სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება: საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებისაგან.

წამლობა „606“-ით.

(თ.—1513—1)

ს ა მ ფ ო ზ ი ა რ ი
თ ა ვ ფ ე ს ა ფ ა რ ი
თ უ ხ ა რ ბ ე ლ ი ს ა.

გოლოვინის პრესპექტივა და [illegible] ქუჩის ქიმში, № 34, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკ ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში [illegible] ზოგადოება. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგ. დიდ ოთახში ხელმისაწვდომ ფასში, დღე-ღამე 1 იან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიძებსა დ. [illegible] ალაგებენ ყოველ დღე, დილის 1—12 ს. [illegible] მოწმენს. თავმესაფარის გამგე ექიმი **ფ. ბ. მიკირტუმოვი.** (თ. 1037.63

ვპისრულობ:

1. დაგირავებას და გადაგირავებას [illegible] ბამულებისას როგორც ქალაქებში, აგრ [illegible] სოფლებში.

2. უძრავ ქონებათა ყიდვა-გაყიდვას.

3. მადნეულობის გამოკვლევას და [illegible]შავებას.

4. ყოველგვარ არზების და პირობ[illegible] ალდალის შედგენას.

5. ხე ტყის მასალის [illegible] ყიდველის და [illegible] ყიდველის შოვნ[illegible]. მთხოვნ[illegible] ვიდ[illegible] ყოველ დღე გარდა კვირისა და უქმე დ[illegible], დილის თერმომეტრის ნახევრიდან 12 [illegible]მდე და საღამოთი ექვსიდან 7 ს.-მდე. **ბინა: ქ. ტფილისი, გოლ პროსპ.**, სახლი **მანთაშვილისა**, სასტუ[illegible] უნივერსიტეტ, № 2, ტელეფონი № 499. **იოსებ კირილეს ძე რაზმაძე** (25—1496—9)

გამოსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის პიესა
„გ ა მ ც ე მ ი“
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

გამოსულია და იყიდება
ნ. ფიუკაშვილის
პიესა „მეგობრობა“, დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

გამოსულია და იყიდება
არჩილ ჭორჭაძის
თხზულებანი:

I ტ. „ეროვნულ პრობლემის გარშემო“ ფასი „ „ „ 75 კ.
II „ „ჩვენი საზოგადოებრივობა „ „ „ „ „ 80 „
III „ „ნ